ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N2018-85

ქ. თბილისი **12 ოქტომბერი 2018 წელი**

ერთის მხრივ, **ერედვის მუნიციპალიტეტი (ს/კოდი: 218065055)** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის **ოთარ ცოტნიაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **ფ/პ ჯონდო ლაფაჩის (პ/ნ 59002001686)** (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ,,ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ -"ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.
1.6 ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს უძრავი ქონების დეკლარირებისა და აღრიცხვის მიზნით კოდის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის ტრანსპორტირება კოდიდან ქ.მარნეულში და მათი უკან კოდის დევნილთა დასახლებაში დაბრუნების მომსახურების **(CPV კოდი - 60170000-სატრანსპორტო საშუალების დაქირავება მძღოლთან ერთად)** შესყიდვა.
2.2. გასაწევი მომსახურების აღწერილობა და მგზავრობის გრაფიკი განისაზღვრება დანართის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **312,50 (სამასთორმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა
3.2. გადასახადის გათვალისწინებით;
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის მიმწოდებლისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარი), მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.
4.2. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების ან მისი ნაწილის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.3. მიმწოდებლისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდას, ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების სათანადოდ უფლებამოსილი პირების ხელმოწერით.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურება განხორციელდება დროულად, ხარისხიანად და დანართი N1-ის შესაბამისად.
6.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

7.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2018 წლის 12 და 15 ოქტომბერს (ექვსი რეისი) კოდის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის ტრანსპორტირება კოდიდან ქ.მარნეულში და შემდეგ მათი უკან კოდის დევნილთა დასახლებაში დაბრუნება.
7.2. მომსახურების გაწევის ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულების დანართის შესაბამისად.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება. ინსპექტირებას განახორციელებს: ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - **გაიოზ ბერუაშვილი.**
ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევისას აღმოჩენილი ნაკლის გამოსწორება.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების დროულად და ხარისხიანად გაწევის შემდეგ ჩაურიცხოს მიმწოდებელს მის საბანკო ანგარიშზე გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულების მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში.
ბ) დროულად მიაწოდოს მიმწოდებელს ყველა ინფორმაცია, რაც აუცილებელია მომსახურების სათანადო დროში და ხარისხით შესრულებისთვის.
8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია
ა) მოსთხოვოს შემსყიდველის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მომსახურების გაწევა უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობებისა და დანართის შესაბამისად.
ბ) მომსახურების გაწევის პროცესში არსებული შეფერხების შესახებ აცნობოს შემსყიდველს.
გ) მომსახურების გაწევის პროცესში რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი გამოსწორება, შესაბამისი შეტყობინების (ზეპირი/წერილობითი) მიღების შემდეგ გონივრულ ვადაში.
დ) დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს, თუ მისგან დამოუკიდებელი რაიმე მიზეზები და გარემოებები საფრთხეს უქმნის ან შეუქმნის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას.
ე) მომსახურების გაწევისას დაიცვას უსაფრთხოების ნორმები.
ვ) მომსახურების გაწევისას აანაზღაუროს შემსყიდველს ან მესამე პირისთვის ბრალეული ქმედებით მიყენებული ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანი.
ზ) ავტოსატრანსპორტო საშუალება მომსახურების გაწევისას უნდა იყოს ტექნიკურად გამართული და სუფთა მდგომარეობაში.
თ) მომსახურე მძღოლს უნდა გააჩნდეს კანონმდებლობით დადგენილი იმ კატეგორიის მართვის მოწმობა ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის რომლითაც ახორციელებს მომსახურების გაწევას.
ი) მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-ვალდებულებანი.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომელიც შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ს.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან ან დარღვევათა გამოწსორებისაგან.
9.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას გადაუხდელი თანხის 0,1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
10.5.ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
10.6. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.
10.7. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

12.ფორს-მაჟორი

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

12.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

13. დავის გადაწყვეტა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველთან, მეორე კი - მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების შესრულების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაშია 2018 წლის 12 ოქტომბრიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. მხარეთა იურიდიული მისამართი, რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ერედვის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. N89/24
ს/კოდი 218065055
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა GE85KS0000000330300001
ბ/კოდი: AGREGE22
Tel: 595 33 94 00

მიმწოდებელი:
ფ/პ ჯონდო ლაფაჩი
მის: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი 22
პირადი ნომერი: 59002001686
მიმღები ბანკი: სს ,,თიბისი ბანკი"
ა/ა GE67TB7095245063600039
ბ/კოდი TBCBGE22
Tel: 595 91 29 93

17. მხარეთა ხელმოწერები

ოთარ ცოტნიაშვილი
მუნიციპალიტეტის გამგებელი

ჯონდო ლაფაჩი
ფიზიკური პირი

დანართი N1

შესყიდვის ობიექტის დასახელება	გასაწევი მომსახურების აღწერილობა	რაოდენობა	მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	2	3	4
მოსახლეობის ტრანსპორტირება	მიმწოდებელი 2018 წლის 12 და 15 ოქტომბერს უზრუნველყოფს უძრავი ქონების დეკლარირებისა და აღრიცხვის მიზნით კოდის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის ტრანსპორტირებას კოდიდან ქ.მარნეულში და მათ უკან კოდის დევნილთა დასახლებაში დაბრუნებას	2 დღე (სულ 6 რეისი)	312.50 ლარი

შემსყიდველი

ოთარ ცოტნიაშვილი
ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი

მიმწოდებელი

ჯონდო ლაფაჩი
ფიზიკური პირი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის
არ არსებობის შესახებ

ქ.თბილისი **12 ოქტომბერი 2018 წ.**

„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ერედვის მუნიციპალიტეტის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით კოდის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის ტრანსპორტირების **(CPV 60170000)** მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში, რომელსაც ახორციელებს **ფ/პ ჯონდო ლაფაჩი (პ/ნ 59002001686)** ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს;

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი

---------- ოთარ ცოტნიაშვილი

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

---------- გაიოზ ბერუაშვილი